

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მანანა ტაბიძე

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას. შესაბამისი კრედიტების დაგროვების შემთხვევაში გაიცემა სერტიფიკატი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

2009 წლის ნოემბერში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა უმცირესობათა პრობლემების გათვალისწინებით. კერძოდ, არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულები ახარებენ გამოცდას მხოლოდ ზოგად უნარებში, მათთვის ცალკე კვოტები გამოიყოფა უმაღლეს სასწავლებლებში და უმაღლესი სასწავლებლის პირველ კურსზე ისინი შეისწავლიან სახელმწიფო ენას (ქართულს), როგორც მეორე ენას 60 კრედიტის ფარგლებში.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოქალაქეების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას. მოსამზადებელი საფეხურის გავლის შემდეგ მათ უნდა შეეძლოთ უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელება; სხვადასხვა ტიპის ტექსტების გაგება და შექმნა; ამ პროგრამის მეშვეობით ისინი გარკვეულ დონეზე (პროგრამული თემატიკის შესაბამისად) გაეცნობიან ქართულ ენობრივ – კულტურულ ღირებულებებს.

პროგრამის მიზანია სტუდენტმა კურსის გავლის შედეგად შეძლოს:

- წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე;
- სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტის შექმნა (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება) და ადეკვატურად გაგება;

- ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა;
- ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;

პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურებში (სპეციალობასა და მუსიკის თეორიაში) და ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარები მშობლიურ ენაზე.

სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქვს საბაზისო ცოდნა ქართულ ენაში, წარმოდგენა ზოგადად ქართულ ენაზე და მის მნიშვნელობაზე. • ერკვევა ქართული ენის სტრუქტურაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგადმახასიათებლებში , იცის საერთო ნიშნები. • აქვს ქართული ენაში საბაზისო ლექსიკური მარაგი. • იცის ლექსიკური სესხების პირობები და აცნობიერებს სესხების როლს ზოგადად ენის განვითარებაში.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ქართული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის. • აქვს საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები. • ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგების, თარგმნის, ინტერპრეტაციის, რეპროდუქციის, რედაქტირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი. • ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენების უნარი. • ენობრივი პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი. • კონკრეტული ენობრივი ფაქტების განზოგადების უნარი. • ლექსიკური მარაგის სინტაქსური და მორფოლოგიური წესების გამოყენებით ქართული ენის ნორმების შესატყვისად კონსტრუქციების აგების უნარი; • ქართულ ენაზე მასალის ლოგიკურად ჩამოყალიბებისა და მისაღები ფორმულირებით გადმოცემის უნარი;
<p>დასკვნის უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქვს დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით; მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და სინთეზის უნარი;

	<ul style="list-style-type: none"> • არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სათანადო წერილობითი დასკვნის (შეჯამების) ჩამოყალიბების უნარი; • სხვადასხვა ტიპის ტექსტების ანალიზისა და დასკვნის გამოტანის უნარი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა ქართულენოვან გარემოში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენებით. ენობრივი ფორმების სიტუაციის (კონტექსტის – ვინ, ვისთან, სად, რის გამო, რა მიზნით ამყარებს ურთიერთობას) შესაბამისად შერჩევა და გამოყენება
სწავლის უნარი	შეუძლია ქართულ ენაზე საკუთარი სწავლის მიმართულებებისა და საჭიროების განსაზღვრა
ღირებულებები	გაცნობიერებული აქვს ქართული საზოგადოების ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნება და შეუძლია როგორც ეროვნული, ისე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ფასეულობების პატივისცემა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა პრაქტიკული და თეორიული სწავლების მეთოდების ორგანული ინტეგრაცია.

სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები;
- პრაქტიკულ დავალებების თეორიული ასპექტების შესწავლა;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ანალიზისა და სინთეზის მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- დისკუსია-დებატები;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- ელექტრონული სწავლება;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- სტუდენტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს, რაც თავის მხრივ მოიცავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, ყოველდღიურ აქტიურობას და მიმდინარე რეიტინგულ შეფასებას. შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა.

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: შუალედური და შემაჯამებელი ტესტები (როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებით), ზეპირი პრეზენტაციები, შემაჯამებელი გამოცდა, შემთხვევის ანალიზი).

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

ქულები	ქულების ასოითი აღნიშვნა	შეფასების აღნიშვნა
91 – 100	A	ფრიადი
81 – 90	B	ძალიან კარგი
71 – 80	C	კარგი
61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი
51 – 60	E	საკმარისი
41 – 50	FX	ვერ ჩააბარა
0 – 40	F	ჩაიჭრა

სასწავლო გეგმა

პროგრამის სავალდებულო კურსები (60 კრედიტი)					
№	საგნის / მოდულის სახელწოდება	ECTS	საკონტაქტო /და დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილება	სწავლების სემესტრი შემოდგომის/ გაზაფხულის	ლექტორი/ ლექტორები
1	ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები: მოსმენა	5	60/65	I	თინათინ თურქია
2	ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები: კითხვა	5	60/65	I	მანანა ტაბიძე
3	ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები: ზეპირი მეტყველება	5	60/65	I	თინათინ თურქია
4	ქართულის, როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები: წერიტი მეტყველება	5	60/65	I	მანანა ტაბიძე
5	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა (ტიპური შეცდომების ანალიზი-1)	5	45/80	I	მანანა ტაბიძე
6	ენის კომუნიკაციური ასპექტები-1	5	60/65	I	მანანა ტაბიძე
7	ორთოეპია და ორთოგრაფია	5	45/80	II	მანანა ტაბიძე
8	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა (ტიპური შეცდომების ანალიზი) 2	5	45/80	II	მანანა ტაბიძე
9	ენის კომუნიკაციური ასპექტები-2	5	60/65	II	თინათინ თურქია
10	ლექსიკა და კითხვა (კითხვის სტრატეგიები)	5	45/80	II	მანანა ტაბიძე
11	ზეპირი კომუნიკაცია (ზეპირმეტყველებითი სტრატეგიები)	5	45/80	II	თინათინ თურქია
12	ფუნქციური წერა	5	45/80	II	მანანა ტაბიძე

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსები:

პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვის აუცილებელი, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული (კომპიუტერები, ბგერითი იზოლაცია, ვენტილაცია, გათბობის სისტემა, მერხები, დაფები, სადემონსტრაციო მოწყობილობა – აუდიო და ვიდეო ტექნიკა) სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები. სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკების, ფონოთეკის მომსახურებით (ბიბლიოთეკის წიგნადი, სანოტო და აუდიო ფონდებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით).

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

მოწვეული სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია

პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედაგად მიღებული შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში - მოდიფიცირებას.